

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 5 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

სხდომის დაწყებამდე ბ-მა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრთა სახელით პროფესორ რამაზ გახოკიძეს მიულოცა საქართველოს ეროვნული პრემიის მიღება და წარმატებები უსურვა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27. კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის 2020-2021 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის შესახებ;
2. დოქტორანტების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ბაკალავრიატის 2020-2021 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა გამოეთქვათ შენიშვნები ჩასარიცხი აბიტურიენტების რაოდენობასთან და კომპეტენციის ზღვრებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნანა შათაშვილმა, მანანა ხაჩიძემ, ომარ ფურთუხიამ და სხვებმა. მათი მოთხოვნით დაზუსტდა კომპეტენციის ზღვარი ზოგიერთი საბაკალავრო პროგრამის საგნებზე. კერძოდ, კომპეტენციის ზღვრები შემდეგნაირად შესწორდა: მათემატიკაში - მათემატიკის პროგრამაზე 45%, ფიზიკის პროგრამაზე 35%; ინგლისურენოვან პროგრამებზე უცხო ენაში - კომპიუტერულ მეცნიერებებზე 50% და ქიმიაში 60%.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბაკალავრიატის 2020-2021 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 27 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის 2020-2021 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი აღნიშნული ცვლილებებით (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - დოქტორანტების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. კერძოდ, განხილული იყო შემდეგი საკითხები (იხ. დანართები 2):

- ა) მათემატიკაში ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ანა ნუსხელაძის, ლაშა ბარამიძის და გვანცა შევარდენიძის სადისერტაციო თემების სათაურების და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
- ბ) ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ლევან სხირტლაძისათვის უცხოელი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;
- გ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიამის თემის სათურის ცვლილების შესახებ;
- დ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიამისთვის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა და ო.მუკბანიანმა. ისინი დაინტერესდნენ, თუ რა არის არგუმენტი იმისა, რომ დოქტორანტ გ.გაბრიამეს ინგლისურ ენაზე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის ნება მიეცეს. ქალბატონმა ნანამ ასევე აღნიშნა, რომ ამის ნებას ვრთავდით, როცა ერთ-ერთი ხელმძღვანელი უცხოელი იყო. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ხელმძღვანელის დასაბუთება (იხ. დანართები 2). აღნიშნული დასაბუთება არასაკმარისი აღმოჩნდა საბჭოს წევრებისთვის და გამოიწვია სჯა-ბაასი.

საბჭოს თავმჯდომარემ ცალცალკე უყარა კენჭი აღნიშნულ საკითხებს.

საკითხები ა), ბ) და გ)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 27 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს:

- ა) დამტკიცდეს შემდეგი დოქტორანტების სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები:
 - **ანა ნუსხელაძე:** სადისერტაციო თემის დასახელება "ნამდვილი K-თეორიის გამოყენება ტოპოლოგიურ ინსულატორებში"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. მალხაზ ბაკურაძე (თსუ) და პროფ. რაღვ მეიერი (გიოტინგენის უნივერსიტეტი);
 - **ლაშა ბარამიძე:** სადისერტაციო თემის დასახელება „განზოგადოებული სასრული ვარიაციის ფუნქციები და ფურიე-ვილენკინის მწკრივების კრებადობა“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. უშანგი გოგინავა (თსუ) და პროფ. ინგო ვიტი (გიოტინგენის უნივერსიტეტი);
 - **გვანცა შევარდენიძე:** სადისერტაციო თემის დასახელება „ფურიე ვილენკინის მწკრივების ჩეზაროს უარყოფითი რიგის საშალოების კრებადობა“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. უშანგი გოგინავა (თსუ) და პროფ. ინგო ვიტი (გიოტინგენის უნივერსიტეტი).
- ბ) ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ლევან სხირტლაძისათვის მეორე ხელმძღვანელად დამტკიცდეს კაუნასის უნივერსიტეტის პროფესორი იოზას ვიდას გრაზავილიჩიუსი. მისი ხელმძღვანელი არის პროფ. ომარ მუკბანიანი, ხოლო სადისერტაციო თემის სათაურია "დონორული და აქცეპტორული ფრაგმენტების შემცველი ორგანული ნახევარგამტარების სინთეზი და თვისებების კვლევა".
- გ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის გიგა გაბრიამის თემის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „PEEC

მოდელის გაუმჯობესება სამკუთხედებით წარმოდგენილი ზედაპირების ავტომატური დანაწევრებით“. სამეცნიერო ხელმძღვანელია რომან ჯობავა.

საკითხი დ)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 10, წინააღმდეგი: 10, დანარჩენმა თავი შეიკავა.

დაადგინეს: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიგა გაბრიამეს უარი ეთქვას სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენაზე.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ა) ბიოფიზიკის პროგრამული კომიტეტის შესახებ;
- ბ) მიმართვის ტექსტის შესახებ;
- გ) კომპიუტერული მეცნიერებისა და ელექტრონიკის ძველი საბაკალავრო პროგრამების ვადის გახანგრძლივების შესახებ;
- დ) გეოლოგიის დეპარტამენტის სარედაქციო კოლეგიაში ცვლილების შესახებ;
- ე) სტუდენტ ლ.ონიანის ერთი ინიციატივის შესახებ.

3-ა. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - ბიოფიზიკის პროგრამული კომიტეტის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს წინა სხდომაზე დამტკიცებულ ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობას დაემატა დამსაქმებელი ეკა შეყილაძე და სტუდენტი სალომე ჩინჩალაძე. გარდა ამისა, კომიტეტის შემადგენლობას დაემატა თითო-თითო წევრი ბიოლოგიისა და ფიზიკის დეპარტამენტებიდან - პროფესორი ა.შენგელაია და ასისტ. პროფ. ზ.ქუჩუკაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 27 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. დიანა შიშიგური,
2. არჩილ უგულავა,
3. თამაზ მძინარაშვილი,
4. ნანა შათაშვილი,
5. ნანული კოტრიკაძე,
6. მანანა გორდეზიანი,
7. ზურაბ ქუჩუკაშვილი,
8. ალექსანდრე შენგელაია,
9. თამარ ჭელიძე,
10. მარიამ ხვედელიძე,
11. ეკა შეყილაძე (დამსაქმებელი),
12. სალომე ჩინჩალაძე (სტუდენტი).

3-ბ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - ფაკულტეტის საბჭოს წინა სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებდა წინადადებებს საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით

და უნდა მოემზადებინა მიმართვის ტექსტი. ერთობლივი მუშაობისას რამდენჯერმე მოხდა დოკუმენტის ტექსტის ჩასწორება. მიმდინარე საბჭოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილია ორი ვარიანტი, რომელიც საბჭოს წევრებმა უნდა განიხილონ, შეაჯერონ შეხედულებები და დაამტკიცონ. აღნიშნული ვარიანტები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქევს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ო.მუკვანიანმა, ნ.შათაშვილმა. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ ისაუბრა მიმართვის პირველ ვერსიაში მოყვანილ არგუმენტებზე, რომლებიც „შეიკვცა“ მეორე ვერსიაში. თავისი მოსაზრებები დაასაბუთა პროფ. დ.ძიძიგურმაც. აზრი გამოთქევს პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ლ.მაჭავარიანმა, დ.კერესელიძემ, ნ.ელიზბარაშვილმა. ამ უკანასკნელმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა სახელმწიფოსგან ფინანსდებოდეს გეოგრაფიაც. პროფ. დ.ძიძიგურმა კიდევ ერთხელ ისაუბრა ექსპერიმენტული დარგების დამატებითი დაფინანსების საჭიროებაზე, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრები საბოლოოდ შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ სამუშაო ჯგუფმა გააგრძელოს მიმართვაზე მუშაობა გამოთქული შენიშვნების გათვალისწინებით.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად.

3-გ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - კომპიუტერული მეცნიერების ძველი საბაკალავრო პროგრამის ვადის გახანგრძლივების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა 1 წლით ვადა გაუხანგრძლივონ კომპიუტერული მეცნიერების ძველ საბაკალავრო პროგრამას, რათა ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო პროგრამა ცვლილებების მიღებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი კომპიუტერული მეცნიერების ძველი საბაკალავრო პროგრამისთვის 1 წლით ვადის გახანგრძლივების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: 1 წლით გაუხანგრძლივდეს ვადა კომპიუტერული მეცნიერების ძველ საბაკალავრო პროგრამას, რათა ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო პროგრამა ცვლილებების მიღებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად.

3-დ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - გეოლოგიის დეპარტამენტის სარედაქციო კოლეგიაში ცვლილების შესახებ. სხდომის თავმჯდომარე საბჭოს წევრებს გააცნო გეოლოგიის დეპარტამენტის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის სხდომის ოქმი კოლეგიის განახლებული შემადგენლობის არჩევის შესახებ (იხ. დანართი 3). კერძოდ, კოლეგიას უხელმძღვანელებს ასოც.პროფ. გურამ ქუთელია, ხოლო ახალ წევრად არჩეულია ასოც. პროფ. კარლო აქიმძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გეოლოგიის დეპარტამენტის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის დარგობრივი სარედაქციო კოლეგია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ასოც. პროფ. გურამ ქუთელია (თავმჯდომარე), ასისტ. პროფ. მარიამ ახალკაციშვილი (მოადგილე), პროფ. ბეჟან თუთბერიძე, ასოც. პროფ. კარლო აქიმძე, ასოც. პროფ. ზურაბ ლებანიძე (იხ. დანართი 3).

3-ე. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - სტუდენტმა ლ.ონიანმა საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ როცა ლექტორი საპატიო მიზეზით აცდენს ლექციას, ადმინისტრაციამ სტუდენტებს დაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა სტუდენტების წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ლექტორის მიერ ლექციის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ადმინისტრაციამ სტუდენტებს დაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



მდივანი, ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი

